„დამტკიცებულია"
მრჩველთა საბჭოს 2019 წლის 25 აპრილის
N01-01/03 გადაწყვეტილებით
დანართი N2

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს

მრჩველთა საბჭოს

--თორნიკე მჟავანაძე---(სახელი გვარი)
[redacted]------(პირადი ნომერი)
[redacted]---(ტელეფონის ნომერი)
[redacted](ელ-ფოსტის მისამართი)
[redacted] (საცხოვრებელი ადგილი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
ღია კონკურსში მონაწილეობაზე

გაცნობებთ, რომ სურვილი მაქვს მონაწილეობა მივიღო სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"ს დირექტორის ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებულ ღია კონკურსში. აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ შემდეგი სახის ინფორმაციას თანდართული დოკუმენტებით:

1. მუშაობის გამოცდილება

სამუშაო გამოცდილება ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდი (დაწყება/დასრულება)	ორგანიზაციის დასახელება, პოზიცია,
06/06/2015 -- დღემდე	აჭარის ა.რ. უმაღლესი საარჩევნო კომისია, კომისიის წევრი
31/12/2014 – 25/08/2015	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო, შესყიდვებისა და მატერიალურ ტექნიკური განყოფილების უფროსი
04/05/2009 -- 30/12/2012	ააიპ „კავკასიური დიალოგის ცენტრი", ტრენერი/საარჩევნო სკოლი ხელმძღვანელი
08/06/2007 – 14/08/2008	გაზეთი „Georgia Today", გაყიდვების და მარკეტინგის მენეჯერი.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზია და რადიო
245675880
მიღებულია N5
N 29 05 2019

ჟურნალისტად მუშაობის გამოცდილება სამუშაო პერიოდი (დაწყება/დასრულება)	ორგანიზაციის დასახელება, პოზიცია,
01/10/2014 – 15/01/2015	შპს „ლაიმ სტუდიო", სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს დაკვეთილი გადაცემა „ეკონომისტის" წამყვანი

ადამიანის უფლებათა სფეროში სამუშაო გამოცდილება, მუშაობის პერიოდი (დაწყება/დასრულება)	ორგანიზაციის დასახელება, პოზიცია
06/06/2015 -- დღემდე	აჭარის ა.რ. უმაღლესი საარჩევნო კომისია, კომისიის წევრი
04/05/2009 -- 30/12/2012	ააიპ „კავკასიური დიალოგის ცენტრი", ტრენერი/საარჩევნო სკოლი ხელმძღვანელი
05/07/2007 – 01/05/2009	საქართველოს ბიზნეს განვითარების ცენტრ „კავკასიის" საკონსულტაციო ოფიცერი

სამეცნიერო-პედაგოგიურ სფეროში სამუშაო გამოცდილება, მუშაობის პერიოდი (დაწყება/დასრულება)	ორგანიზაციის დასახელება, პოზიცია
2015-2017 სასწავლო წლებში	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული მასწავლებელი
04/05/2009 -- 30/12/2012	ააიპ „კავკასიური დიალოგის ცენტრი", ტრენერი/საარჩევნო სკოლი ხელმძღვანელი

2. აკადემიური ხარისხი

უმაღლესი სასწავლებლ(ებ)ის დასახელება/სახელწოდება და სწავლის პერიოდი	მინიჭებული აკადემიური ხარისხი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2012წლიდან დღემდე	დოქტორანტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009-2011წწ	მაგისტრი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2005-2009წწ	ბაკალავრი

ვიცნობ და ვეთანხმები ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონისა და სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის (არჩევის) წესს.

თანახმა ვარ, ჩემს მიერ წარმოდგენილი განაცხადი და მასზე დართული ყველა დოკუმენტაცია გასაჯაროვდეს.

დანართი 29 გვერდზე

1. პირადობის მოწმობის, პასპორტის ან ID ბარათის ასლი;
2. მაგისტრის ანდა მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. სამუშაო გამოცდილების დაამდასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ოფიციალურად დამოწმებული ასლ(ებ)ი;
4. გარდა მოთხოვნილი დოკუმენტაციის, განცხადებას თან ერთვის, მაუწყებლის განვითარების ხედვა 11გვერდად, კურიკულუმ ვიტაე 4 გვერდად, შრომის წიგნაკი 8 გვერდად,

განმცხადებლის სახელი გვარი ხელმოწერა

ალინა ფავანაძე

განცხადების წარმოდგენის თარიღი

24/05/2019 წ.

საქართველო
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბაკალავრის
დიპლომი

RSU № [redacted]

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის

ფაკულტეტის საბჭოს 2009 წლის 22 იულისის № 9

გადაწყვეტილებით თორნიკე მჟავანაძეს

მიენიჭა ბიზნესის მართვის

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი

მენეჯმენტი და ადმინისტრირების სპეციალობით.

დეკანი
Dean

რექტორი
Rector

ბათუმი
Batumi

GEORGIA
SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY

BACHELOR'S
DIPLOMA

RSU № [redacted]

This is to certify that by Decision № 9 / 22.07.2009

of the Faculty of Social Sciences, Business and Law

Tornike Mzhavanadze

was awarded the Degree of Bachelor of

Business Administration in

Management and Administration

ბ. ა.
Seal

გაცემის თარიღი (რიცხვი/თვე/წელი) 03.02.2010
Date of Issue (day/month/year)

სარეგისტრაციო
Registration № [redacted]

საქართველო

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაგისტრის დიპლომი

RSU № [redacted]

სოციალურ მეცნიერებათა, მიზნისა და
სამართალმცოდნეობის

ფაკულტეტის 2011 წლის 21 ივლისის № [redacted]

გადაწყვეტილებით თორნიკე მჟავანაძეს

მიენიჭა საერთაშორისო ურთიერთობების

მაგისტრის აკადემიური ხარისხი

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით.

დეკანი
Dean / ადამ მახარაძე
Adam Makharadze /

რექტორი
Rector / ალიოშა მაკურიძე
Aliosha Bakuridze /

ბათუმი
BATUMI

10 (რიცხვი/day) 09 (თვე/month) 2012 (წელი/year)

GEORGIA

SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY

MASTER'S DIPLOMA

RSU № [redacted]

By Decision № [redacted] / 21.07.2011

of the Faculty of Social Sciences, Business and Law

Tornike Mzhavanadze

was awarded the Degree of Master of

International Relations

in International Relations

REGISTRATION № 1102172

შრომის წიგნაკი

გვარი მაკავანაძე

სახელი თორნიკე

მამის სახელი თენგიზის ძე

დაბადების თარიღი:

განათლება უმაღლესი
(დაუმთავრებელი, საშუალო, საშუალო, დაუმთავრებელი, უმაღლესი, უმაღლესი)

პროფესია, სპეციალობა სერთიფიცირებული ურბანისტი

შევსების თარიღი _____ წ. „____“ _____

ნიგნაკის მფლობელის ხელის მოწერა

შრომის ნიგნაკის აღრიცხვის მგებელი
გამცემის ხელის მოწერა

ბ.ა.

(გარკვევით)

ცნობები მუშაობის შესახებ

ჩანაწერის №	თარიღი წელი, რიცხვი, თვე	ცნობები სამუშაოზე მიღების დათხოვნის შესახებ (მიზეზის აღნიშვნით	სხვა სამუშაოზე გადაყვანისა და [illegible] მხრის, პუნქტის მითითებით)	რის საფუძველზეა შეტანილი ჩანაწერი (დოკუმენტი, მისი თარიღი და ნომერი)
1	2007.05.07	[illegible]	[illegible]	[illegible] [illegible] 05.07.2007
	2009.05.01	[illegible] [illegible]	[illegible] [illegible]	01.05.2009

ცნობები მუშაობის შესახებ

ჩანაწერის №	თარიღი წელი, რიცხვი, თვე	ცნობები სამუშაოზე მიღების დათხოვნის შესახებ (მიზეზის აღნიშვნით)	სხვა სამუშაოზე გადაყვანისა და კანონის მუხლის, პუნქტის მითითებით)	რის საფუძველზეა შეტანილი ჩანაწერი (დოკუმენტი, მისი თარიღი და ნომერი)
2.	01/10/2014წ.	პირადი მიზეზებიდან შპს „ლიმ სტუდიოს" პუნქტ „ა" დაკავებული გამოძიების ნამყოფობა.	„ლიმ სტუდიოში" ფიზიკური პირის ადგილობრივ სასამართლოში	ნებაყოფლობითობის საფუძველზე 01/10/2014
	2015/15/01	გამოვიხსენიდა დაკავებული პირადი განცხადების საფუძველზე	თანამდებობიდან	
		შპს „ლიმ სტუდიო" დირექტორი: ანაპარა ჯაფარიძე		

Ltd Lime STUDIO ID: 445446697

ცნობები მუშაობის შესახებ

ჩანაწერის №	თარიღი წელი, რიცხვი, თვე	ცნობები სამუშაოზე მიღების დათხოვნის შესახებ (მიზეზის აღნიშვნით	სხვა სამუშაოზე გადაყვანისა და კანონის მუხლის, პუნქტის მითითებით)	რის საფუძველზეა შეტანილი ჩანაწერი (დოკუმენტი, მისი თარიღი და ნომერი)
	2012. 15.11	[illegible]	[illegible]	№17/ر 517 15.11.2012
	2012. 31.12	[illegible]	[illegible]	№17/ر 647
		[illegible]		

ცნობები მუშაო

ბის შესახებ

ჩანაწერის №	თარიღი წელი, რიცხვი, თვე	ცნობები სამუშაოზე მიღების დათხოვნის შესახებ (მიზეზის აღნიშვნით	სხვა სამუშაოზე გადაყვანისა და კანონის მუხლის, პუნქტის მითითებით)	რის საფუძველზეა შეტანილი ჩანაწერი (დოკუმენტი, მისი თარიღი და ნომერი)
	2013.01.05	[illegible]	[illegible]	01.05.2013 №1/49
	2013.12.07	[illegible]	[illegible]	№1/№-97 12.07.2013
		[illegible]	[illegible]	

ცნობები მუშაობის შესახებ

ჩანაწერის №	თარიღი წელი, რიცხვი, თვე	ცნობები სამუშაოზე მიღების დათხოვნის შესახებ (მიზეზის აღნიშვნით	სხვა სამუშაოზე გადაყვანისა და კანონის მუხლის, პ.უნკტის მითითებით)	რის საფუძველზე შეტანილი ჩანაწერი (დოკუმენტი, მისი თარიღი და ნომერი)
	2013.19.07	[illegible]		ბრძ. № 3-19 19.07.2013წ.
	2014.03.01	[illegible]		ბრძ. №2 03.01.2014წ

ცნობები დაჯილდოების შესახებ

ჩანაწერის №	თარიღი წელი, რიცხვი, თვე	ცნობები ორდენებით საპატიო წოდების	დაჯილდოების და მინიჭების შესახებ	რის საფუძველზეა შეტანილი ჩანაწერი (დოკუმენტი, მისი თარიღი და ნომერი)
	2014.04.05.	[illegible]	[illegible] 2014 წლ.	[illegible] 3-40 04.05.2014წ.
		[illegible]		
		ა.ირანაძე		

ცნობები ნახალისებ ბის შესახებ

ჩანაწერის №	თარიღი წელი, რიცხვი, თვე	ცნობები სანარმოდანესებულებაში ან დაკავშირებული ნახალის	ორგანიზაციაში მუშაობასთან ების შესახებ	რის საფუძველზეა შეტანილი ჩანაწერი (დოკუმენტი, მისი თარიღი და ნომერი)
	2014.31.12	ბაინიშნა ქ. ბათუმის	მუნიციპალიტეტის	ბრძ №04/63
		საკრებულოს აპარატის	შენყვეტისა და	31.12.2014
		მაკურთალეს-ყოფნიერეს	[illegible]	
		გამყოფილების ფუნქციის	[illegible] ებობაზე	
		აპარატის ფუნქციებ[illegible]	[illegible]ენ მეკისრებ	
	2015.25.08	განთავისუფლდა ფუნქციებ[illegible]	[illegible] თანამდებობიდან	ბრძ. № 06/24
		აპარატ აკუნთხობიანი ხელ[illegible]ის ფუნქციებ[illegible]		25.08.2015
		საბჭოს ნაკრძალ[illegible]	[illegible]	
		განცხადების საფუძ[illegible]		
		აპარატის ფუნქციებ[illegible]	[illegible]ენ მეკისრებ	

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY

MES 6 19 00612341

22/05/2019

ცნობა

ეძლევა თორნიკე მჟავანაძეს მასზედ, რომ იგი 2015-2016 სასწავლო წლიდან (ბრძ.№02-03/86 22.10.2015 წ.) 2016-2017 სასწავლო წლის (ბრძ.№02-03/158 26.10.2016 წ.) ჩათვლით მოწვეული იყო სოციალური და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგობრივ დეპარტამენტში მასწავლებლად საათობრივი ანაზღაურების წესით.

ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო / უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებები / სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ხალვაში მერაბი

საქართველო, ბათუმი 6010,
ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32
ტელ/ფაქსი: (+995 422) 27 17 87

საიდენტიფიკაციო კოდი
245428158
Identification Code

N35 Ninoshvili, 6010 Batumi,
Georgia
Tel/Fax (+995 422) 27 17 87

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
უმაღლესი საარჩევნო კომისია

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF ADJARA
SUPREME ELECTION COMMISSION

N 01-27/16
22/05/2019

16-01-27-2-201905221445

ც ნ ო ბ ა

ეძლევა თორნიკე მჟავანაძეს (პ/ნ [redacted]) მასზედ, რომ ის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 6 აგვისტოს №143-უ.ს.რ.ს დადგენილების საფუძველზე არჩეულია და მუშაობს დღემდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრად.

ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია

საქართველო, 6010, ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. №2 ტელ: (0 422) 27 21 84; (0 422) 27 48 16
Georgia, 6010, Batumi, 2, Gogebashvili str, Tel: (0 422) 27 21 84; (0 422) 27 48 16

ცნობა

ეძლევა თორნიკე მჟავანაძეს(პ/ნ [redacted]) მასზედ, რომ იგი ნამდვილად მუშაობდა ააიპ „კავკასიური დიალოგის ცენტრში" ტრენერად და საარჩევნო სკოლის ხელმძღვანელად 4/05/2009 წლიდან, 30/12/2012 წლამდე.

ნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

ააიპ „კავკასიური დიალოგის ცენტრის"

ამფუძნებელი: ვალერი ბერაძე

15/05/2019 წ.

თორნიკე მჟავანაძე

მობ:

ელ.ფოსტა

სამუშაო გამოცდილება ჟურნალისტიკასა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში:

- 2015წ.-დღემდე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრი. უფლებამოსილების ვადა 5 წელი (2020 წ.)

  საქმიანობის სფერო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებას და ჩატარებას, საქართველოს მოქალაქეთა საარჩევნო უფლების სრულ და განუხრელ განხორციელებას, აგრეთვე თავისი უფლებამოსილების ფარგლებში აკონტროლებს აჭარის მთელ ტერიტორიაზე საარჩევნო კანონმდებლობის ერთგვაროვან გამოყენებას. განიხილავს საარჩევნო დავებს და ღებულობს გადაწყვეტილებას.

- 2013-2015 წწ შპს „ლაიმ სტუდიო" დარგობრივი გადაცემების პროდიუსერი, 2014-2015 წწ გადაცემა „ეკონომისტი"ს წამყვანი.

  შენიშვნა: შპს „ლაიმ სტუდიო" ამზადებდა დარგობრივ გადაცემებს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დაკვეთით.

- 2009-2012 წწ. ააიპ „კავკასიური დიალოგის ცენტრი" ტრენერი/საარჩევნო სკოლის ხელმძღვანელი.

  ორგანიზაციის პროფილი: კავკასიური პრობლემების კვლევა და კავკასიური თანამშრომლობის ხელშეწყობა; ადამიანების უფლებების და თავისუფლებების დაცვის ხელშეწყობა; ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესების ხელშეწყობა; კონფერენციების, სიმპოზიუმების, სემინარების და ლექციების ორგანიზება; არჩევნების პერიოდში ახორციელებს სადამკვირვებლო მისიას.

- 2008-2009 წწ. ა(ა)იპ „მოდუს ვივენდი" ტრენერი საარჩევნო საკითხებში.

  ორგანიზაციის პროფილი: ადამიანის უფლებათა დაცვა, არჩევნების მონიტორინგი, არასრულწლოვან პატიმართა დაცვა და მათი სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.

- 2006-2009 წწ. ა(ა)იპ საქართველოს ბიზნესის განვითარების ცენტრი „კავკასია" საკონსულტაციო ოფიცერი.

  ორგანიზაციის პროფილი: საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარება; საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობა, მოქალაქეების სამოქალაქო და სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება; სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა; მეწარმეთა ხელშეწყობა, კონსულტაცია სამართლებრივ საკითხებში და საკუთრების უფლების დაცვა.

- 2007-2008 წწ. ინგლისურენოვანი გაზეთი „Georgiatoday"_ის, წარმომადგენელი აჭარაში.

პედაგოგიური საქმიანობა:

- 2015-2017 წწ. ლექტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- 2009-2012 წწ. ააიპ „კავკასიური დიალოგის ცენტრი“ საარჩევნო სკოლის ტრენერი, საარჩევნო საკითხებში.
- 2008-2010 წწ. ა(ა)იპ „მოდუს ვივენდი“ ტრენერი საარჩევნო საკითხებში.

სამუშაო გამოცდილება საჯარო სამსახურში:

- 2014-2015 წწ. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.
- 2013-2014 წწ აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.
- 2012-2013 წწ. აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭო, ფრაქცია ქართული ოცნება-თავისუფალი დემოკრატების მოწვეული სპეციალისტი.

სამუშაო გამოცდილება კერძო სექტორში:

- 2010-2011 შ.პ.ს „თელიანი ტრეიდინგი“, აჭარის რეგიონული მარკეტოლოგი.
- 2005-2006 წწ. შ.პ.ს. „ტექსერვისცენტრი“, სისტემური ადმინისტრატორი.

საარჩევნო გამოცდილება:

- 2015-2020 წწ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრი.
- 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, დამკვირვებელი ყველა დონის საარჩევნო კომისიაში, ა(ა)იპ „დემოკრატიის ცენტრი“
- 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე №79 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი.
- 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე №79 საარჩევნო ოლქში დამკვირვებელი, ა(ა)იპ „მოდუს ვივენდი“.
- 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე №79 საარჩევნო ოლქის, №29 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი.
- 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე №63 საარჩევნო ოლქის, №02 საარჩევნო უბანი, წარმომადგენელი.
- 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე №79 საოლქო საარჩევნო კომისია, წარმომადგენელი.

კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: მაგისტრი (დოქტორანტი)

განათლების მიმართულება, დარგი: ეკონომიკა; პოლიტიკური მეცნიერებები.

სამეცნიერო ინტერესების სფერო: საერთაშორისო ეკონომიკა, ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია, პრივატიზაცია და საინვესტიციო გარემო.

განათლება:

- 2012 წლიდან დღემდე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- 2011-2013 წწ. Cisco Networking academy, United States.
  მიღებული ხარისხები:
  - ✓ IT Essentials: PC Hardware and SoftwareCCNA Discovery:
  - ✓ CCNA Discovery: Networking for Home and Small Businesses
  - ✓ CCNA Discovery: Working at a Small-to-Medium Business or ISP
  - ✓ CCNA Discovery: Introducing Routing and Switching in the Enterprise
  - ✓ CCNA Discovery: Designing and Supporting Computer Networks
- 2009-2011 წწ. საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- 2008-2009 წწ. აგრობიზნესის მართვის ბაკალავრი. Agribusiness Teaching Center, a cooperative program of Texas A&M University with the Armenian State Agrarian University.
- 2005-2009 წწ. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- 2005 წ. ბათუმის „ანდრია პირველწოდებულის" სახ. სასულიერო გიმნაზია.

სერთიფიკატები / ტრენინგები:

- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის „საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის“ სერთიფიკატი. გაცემის თარიღი 04/06/2012, მოქმედების ვადა 04/06/2022.
- “NDI“_ის და “IRI“_ის „ტრენერების ტრენინგის“ წარმატებით დამთავრებისათვის. (გაზალეთი 2012 აპრილი-მაისი)
- სერთიფიკატი ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრ ინტერნიუსის „გავეცნოთ ევროკავშირს“ . საინფორმაციო სემინარი სტუდენტებისთვის.
- საქართველოს ბიზნეს განვითარების ცენტრ „კავკასიის“ სერთიფიკატი წარმატებული პროექტისათვის (2007 წლის ნოემბერი).
- სერთიფიკატი, ბიზნეს განვითარების ტრეინინგის წარმატებით დამთავრებისათვის (ივნისი ივლისი 2007 წელი).
- სერთიფიკატი საქართველოს საგანმანათლებლო დებატების ასოციაციის.(2007)

აქტივობები:

- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილ სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.
    - თემა: „ნატო საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტი“
- სიგელი (სატელევიზიო)„ახალგაზრდულ პოლიტიკურ დებატებში“ გამარჯვებისათვის (ბათუმი 2011)
- „დიპლომი“ ქართული ეკონომიკური აზრისა და ეკონომიკური პრობლემების შემსწავლელი საუნივერსიტეტთაშორისო მუდმივმოქმედ სემინარში მონაწილეობისათვის 20.05.2007
- დებატების ტურნირის 2_გზის ფინალისტი: თბილისში ეროვნულ ტურნირზე 2007წლის 7 სექტემბერს და ბათუმში რეგიონალურ ტურნირზე 2007 წლის 23 დეკემბერს.
- „სიგელი“ ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის დამთავრებისათვის. 2004 წელი.

ენები:

ქართული - მშობლიური; რუსული - კარგი; ინგლისური - კარგი.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს განვითარების ხედვა

2013 წელი აჭარის ტელევიზიისთვის გახდა მნიშვნელოვანი ეტაპის დასაწყისი - ამ დროს მთავრობის საქვეუწყებო დეპარტამენტი საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაიქმნა, ამან, თავის მხრივ, გამოიწვია არსებული სწორხაზოვანი პოლიტიკის (ხშირად პროპაგანდისტულის), ჩანაცვლება მეტად თავისუფალი და მრავალფეროვანი იდეებით. მას შემდეგ ტელევიზიას აქვს მეტ-ნაკლები წარმატება პრაქტიკულად ყველა კომპონენტში. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ეთერი ხელმისაწვდომი გახდა ყველა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლისთვის; მაუწყებელი მოქალაქეებისთვის იქცა მნიშვნელოვან შესაძლებლობად, წარმოაჩინონ საკუთარი პრობლემები და წამოიწყონ საკითხებზე ფართო დისკუსია.

აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელს, შესაძლოა, ყველა კომპონენტში არ ჰქონდეს მუდმივად პოზიტიური დინამიკა, თუმცა აქვს ძალიან დიდი მონაპოვარი იმ თვალსაზრისით, რომ პრაქტიკულად, არცერთი ორგანიზაცია თუ სოციალური ჯგუფი მას არ აღიქვამს ხელისუფლებისადმი ლოიალურად, არაერთი ორგანიზაციის შეფასებით, მაუწყებელი დამოუკიდებელია პოლიტიკური და კომერციული გავლენებისგან. ეს გახლავთ უმნიშვნელოვანესი შედეგი, რაც რეფორმამ, გასულმა წლებმა და იმ ადამიანებმა მოიტანეს, რომლებიც მუშაობდნენ და მუშაობენ ამ ორგანიზაციისთვის.

რეფორმა, რომელიც დაიწყო 2013 წელს, არის ცალსახად წარმატებული, თუმცა ის არ უნდა იქნეს განხილული, როგორც დასრულებული პროცესი. საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეის განხორციელება საჭიროებს მუდმივ განვითარებას და რეფორმებს, რათა უნისონში მოვიდეს საზოგადოების მზარდ მოთხოვნებთან, იმის გათვალისწინებით, რომ მაუწყებლობა არის სფერო, რომელიც უფრო და უფრო მაღალ სტანდარტებს აყენებს, ტექნოლოგიების განვითარება კი გაცილებით მრავალფეროვანს ხდის ინფორმაციის მიღების საშუალებებს.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დისკუსია საზოგადოებაში აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების შესახებ მუდმივად მიმდინარეობდეს და ამ პროცესში მაქსიმალურად იქნეს ჩართული ყველა სოციალური, დემოგრაფიული და საზოგადოებრივი ჯგუფი იმ მიზნით, რომ მივიღოთ გამართული და ყველაზე მორგებული საკანონმდებლო ბაზა, ასევე ღია, გამჭვირვალე და ეფექტიანი ორგანიზაცია.

საზოგადოებრივი მაუწყებელი არის უფრო მეტი, ვიდრე მაუწყებელი, მას აქვს გარკვეული პასუხისმგებლობა ქვეყანაში არსებული დემოკრატიის ხარისხზე. ის უნდა დაეხმაროს საზოგადოებას აზრის ფორმირებაში პოლიტიკური, კომერციული, თუ სხვა დაინტერესებული ჯგუფების გავლენისგან დამოუკიდებლად.

ის უნდა ქმნიდეს პროდუქტს ყველა სოციალური ჯგუფისთვის, აგებდეს ხიდებს რელიგიებს, კულტურებსა და თაობებს შორის. მაშინ, როცა მკვეთრად პოლარიზებულია გარემო, მაუწყებელს შეუძლია იკისროს შემრიგებლის როლი.

საზოგადოებრივი მაუწყებელის როლი დიდია მდგრადი საზოგადოების ჩამოყალიბებაშსა და ეროვნული ეკონომიკის გაძლიერებაში.

მაუწყებელს უნდა გააჩნდეს ისეთი საგანმანათლებლო და შემეცნებითი გადაცემები, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას შრომის ბაზარზე და ღიაობას.

აჭარის ტელე/რადიო/ინტერნეტ მაუწყებელს აქვს მნიშვნელოვანი ბერკეტები იმისთვის, რომ მიაღწიოს ხელშესახებ გაუმჯობესებას როგორც ტელეპროდუქციის ხარისხის ამაღლების მიმართულებით, ასევე ახალი მაყურებლის მოძიების თვალსაზრისით, ამდენად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეის განხორციელებაში, დემოკრატიული პროცესების განვითარებაში და ქვეყნის უსაფრთხოების გაძლიერებაში, კერძოდ:

I. დაბალანსებული საინფორმაციო პოლიტიკა

სხვადასხვა ორგანიზაციის შეფასებით, აჭარის ტელევიზია არის დამოუკიდებელი კომერციული და პოლიტიკური გავლენებისგან, ასეთი რეპუტაცია არის მნიშვნელოვანი მონაპოვარი და შესაძლებლობა, რომ კიდევ უფრო გაამყარო ადამიანების ნდობა მაუწყებლის მიმართ. ამისთვის აუცილებელია მაუწყებლის ინსტიტუციურად გაძლიერება, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს მეტ დემოკრატიას ორგანიზაციის მენეჯმენტში და შესაძლებლობას თანამშრომლებისთვის, მუდმივად გაიზარდონ პროფესიულად

II. ორგანიზაციული გამოცდილება

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი არის ერთ-ერთი ყველაზე ძველი ორგანიზაცია საქართველოს მედიასივრცეში. ის რადიო მაუწყებლობას იწყებს 1932 წლიდან, ხოლო სატელევიზიო მაუწყებლობას - 1987 წლიდან. ამ დროის განმავლობაში ტელევიზიას დაუგროვდა მნიშვნელოვანი ორგანიზაციული გამოცდილება და მრავალწლიანი სტაჟის მქონე თანამშრომლების კატეგორია. აუცილებელია არსებული გამოცდილების სისტემატიზაცია და მისი ტრანსფორმაცია მედიაბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად

III. მზარდი ბიუჯეტი

მაუწყებლის ერთ-ერთი ძლიერი მხარე გახლავთ ის, რომ მაუწყებელს აქვს გარანტირებული საბიუჯეტო დაფინანსება, რომელიც წლიდან წლამდე მაღალი ნიშნულით იზრდება. გასულ წელს ამ თანხამ მილიონამდე ლარი შეადგინა. ეს ნიშნავს ყოველწლიურად გაზრდილ შესაძლებლობებს, რათა მოახდინო ტექნიკური გადაიარაღება, გაზარდო გადაცემების ბიუჯეტი, აამაღლო თანამშრომლების კვალიფიკაცია, ასევე ჩნდება რესურსი გაზარდო მათი მოტივაცია და ა.შ.

გარდა საბიუჯეტო დაფინანსებისა, ტელევიზიას აქვს აუთვისებელი სარეკლამო შესაძლებლობები და განკარგვის უფლებით შენობები, რომელიც შეიძლება უფრო ეფექტურად იქნეს გამოყენებული.

გამოწვევები და მათი გადაჭრის ხედვები

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი დგას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე, ამისთვის აუცილებელია ღონისძიებების გატარება და გარკვეული მიმართულებებით რეფორმების დაგეგვმა და შესრულება.

არ გააჩნია მართვის ერთიანი სისტემა

შესაბამისად, ორგანიზაციას არ გააჩნია სისტემური ხედვა საით ვითარდება მაუწყებელი, რა ქმედითი ღონისძიებები უნდა გაატაროს და რა შრომითი თუ ფინანსური შესაძლებლობების მობილიზებაა საჭირო და რისთვის. ეს ყველაფერი, უპირველეს ყოვლისა, იწვევს თანამშრომლების დემოტივაციას და უპერსპექტივობის განცდას. ვერ ყალიბდება კორპორატიული კულტურა, ვინაიდან თანამშრომლებს არ გააჩნიათ იდეა, რომლის გარშემოც გაერთიანდებიან, ექნებათ საერთო მისია და მიზნები, შექმნიან წარმატებას ან გაიზიარებენ მარცხს.

გამოსავალი: **მარკეტინგის სამსახური**

მაუწყებელს ჭირდება კარგად გამართული მარკეტინგის სამსახური რომელიც შეიმუშავებს მეთოდოლოგიას, დაგეგმავს ბაზრის კვლევას, რომელმაც უნდა:

- ✓ გამოავლინოს მედიაბაზარზე არსებული ტენდენციები;
- ✓ შეისწავლოს მომხმარებელთა ქცევა, მათი მოთხოვნები და მოლოდინები;
- ✓ მოახდინოს კონკურენტების ანალიზი;
- ✓ მოახდინოს მაუწყებლის ძლიერი და სუსტი მხარეების კვლევა;
- ✓ გაანალიზოს ტელე/რადიო/ინტერნეტ კომუნიკაციებში არსებული მიგრაციები;
- ✓ გამოკვეთოს მიზნობრივი აუდიტორია
- ✓ გამოკვეთოს საკითხები, რომელიც აუცილებელია საეთერო ბადის დასაგეგმად.

ამის მიხედვით შეიმუშავებს ბაზარზე პოზიციონირების სტრატეგიას, დაადგენს გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს, რომელიც, თავის მხრივ, უპასუხებს კანონის მოთხოვნებს და მოახდენს ორგანიზაციის პრომოუშენს.

მარკეტინგის სამსახური უწყვეტ კომუნიკაციაში იქნება დანარჩენ სამსახურებთან, მუდმივ პროცესში მოახდენს ორგანიზაციაში არსებული სუსტი რგოლების იდენტიფიცირებას და წარმოადგენს გეგმას მათ გასაძლიერებლად, იზრუნებს კორპორატიული კულტურის ჩამოყალიბებაზე.

აღნიშნულმა სამსახურმა უნდა მოახდინოს ტელევიზიის ბრენდირება კონცეპტუალურ დონეზე, შეიმუშაოს გზავნილები როგორც გარე, ასევე შიდა ორგანიზაციული მოხმარებითვის. მნიშვნელოვანია ადამიანების იდეური ერთიანობის უზრუნველყოფა - ეს ხელს შეუწყობს მათ კონსოლიდაციას ორგანიზაციული ამოცანების გადაჭრაში.

არ გააჩნია ფინანსური მართვის სისტემა

ფინანსური მართვის სისტემის არ არსებობა, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს როგორც ორგანიზაციის, ასევე გადაცემების და მატერიალურ-ტექნიკური განახლების პროცესის ეფექტიანობას, ვინაიდან არ ხდება ხარჯების მიზანშეწონილობის ანალიზი.

გამოსავალი: **ფინანსური მართვის კონცეფცია**

ნებისმიერი ორგანიზაციისთვის საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესი არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა კომპონენტს. აღნიშნული პროცესის ეფექტიანად წარმართვა, მათ შორის დაგეგმვის და შეფასების მკაფიო სტანდარტების დასახვა, უზრუნველყოფს ორგანიზაციის არსებული ბიუჯეტიდან მაქსიმალური ეფექტის მიღებას მინიმალური ფინანსური და დროითი დანაკარგებით.

აღნიშნული საკითხი მოითხოვს გარკვეულ სტრუქტურულ ცვლილებებს. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასურველია შეიქმნას დირექტორის მოადგილის პოზიცია ფინანსურ საკითხებში, რომელიც უხელმძღვანელებს, როგორც საფინანსო სამსახურს, ასევე საბჭოს, რომელიც უნდა შეიქმნას და დაკომპლექტდეს სამსახურების ხელმძღვანელებით. თავის მხრივ, საბჭომ უნდა უზრუნველყოს მაუწყებლის ფინანსური პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება, საფინანსო სტანდარტების დადგენა და დანერგვა, ფინანსური ეფექტიანობის ინდიკატორების შემუშავება, პროგრამების შესრულების ქმედითი კრიტერიუმების დადგენა, შესყიდვების სტანდარტებისა და შეფასების კრიტერიუმების დადგენა, დასახული ამოცანების მიღწევის ფინანსური კომპონენტის სარგებლის შეფასება. საერთო საბიუჯეტო პროცესში არსებული დაუგეგმავი ხარჯების გაწევაზე თანხმობის გაცემა, ბიუჯეტის შესრულებაზე კონტროლის მექანიზმების შემუშავება და მიმდინარე კონტროლის განხორციელება. ვინაიდან მაუწყებელი განკარგავს საჯარო ფინანსებს, ამდენად ყველა ფინასური დოკუმენტის საჯაროობა და მისი ხელმისაწვდომობა, სისტემატიზებული სახით უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

არ გააჩნია სამართლიანი ანაზღაურების სისტემა:

ორგანიზაციას არ გააჩნია ხედვა, გაწერილი პრინციპი, თუ რა კრიტერიუმებით ხდება თანამშრომლებზე ხელფასების განაწილება. ეს ბუნებრივად იწვევს უსამართლობის განცდას და სამუშაო მოტივაციის დაკარგვას.

გამოსავალი: **შრომის ანაზღაურების წესი**

მაუწყებელმა უნდა დანერგოს შრომის ანაზღაურების ზოგადი წესი, ამისთვის არსებობს არაერთი აპრობირებული მატრიცა, რომელიც გულისხმობს შრომის შესაფასებელ ძალიან კონკრეტული (არა ორაზროვანი) კრიტერიუმების გაწერას.

მაგალითად, კონკრეტული პოზიციის ხელფასი გამოიანგარიშება შემდეგი კრიტერიუმების შეწონილი ქულით, კერძოდ:

- რა ცოდნას და კვალიფიკაციას მოითხოვს;
- მენეჯმენტის რომელ რგოლს წამოადგენს;
- რა სირთულის ამოცანების გადაჭრა უწევს;
- რა რისკებთანაა დაკავშირებული;

- რამდენად სტრესულია ჯანმრთელობისთვის;
- დამატებითი უნარების ან კვალიფიკაციის ფლობა, რომელიც სასარგებლოა ორგანიზაციისთვის და ა.შ.

მოცემული წესის დანერგვა, თანამშრომლებს საშუალებას აძლევს, თავად განსაზღვრონ ხელფასის რაოდენობა, ახალისებს მათ შეიძინონ დამატებითი უნარები და აიმაღლონ კვალიფიკაცია. ამავდროულად, აჯანსაღებს კორპორატიულ კულტურას და შიდა ორგანიზაციულ მოწყობას ქმნის მეტად სამართლიანს და დემოკრატიულს.

გადაცემის დაგეგმარება

მაუწყებელში გადაცემები იგეგმება სპონტანურად, რაც იწვევს მრავალი კომპონენტის გაუთვალისწინებლობას, ეს, ბუნებრივია, უარყოფითად მოქმედებს გადაცემის ხარისხზე, რეჟისურაზე, აუდი-ვიზუალსა და შინაარსზე, რაც, თავის მხრივ, ნეგატიურად აისახება მაყურებლის განწყობაზე.

გამოსავალი: **გადაცემების დაგეგვმა და შესრულების კონტროლი**

გადაცემას უნდა გააჩნდეს გეგმა, რომელშიც გაწერილი იქნება თითოეული გადაცემის მიზანი, შინაარსი და რეჟისორული დაგეგმარება. მასში გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი კომპონენტები, როგორიცაა კონტექსტი, კალენდარი, ადგილმდებარეობა და ლოჯისტიკა, კლიმატური პირობები, რესპონდენტები და ა.შ. შედეგად გადაცემას ექნება საერთო ხაზი; დაიჭერს მაღალ სტანდარტს და მინიმუმამდე დაიყვანს გადაცემის ჩავარდნის ალბათობას; შინაარსი იქნება მეტად გამართული და საინტერესო; გამოსწორდება გადაცემების რეჟისურა და ვიზუალი; მაუწყებლის რესურსების გამოყენება გახდება მეტად ეფექტიანი.

გეგმის არსებობა გამოავლენს სხვადასხვა კომპონენტზე პასუხისმგებელ პირებს. ამასთანავე, ის არის შესრულების კონტროლის კარგი საშუალება.

მოუწყებელმა უნდა შეიმუშაოს ორმაგი კონტროლის მექანიზმი, კერძოდ, გამოავლინოს პირები, ვინც გააკონტროლებს გეგმების შემუშავებას და შესრულებას, თავის მხრივ მაკონტროლებელს, დირექტორის დავალებით შეამოწმებს პირი (ან პირთა ჯგუფი), რომელიც წინასწარ არ იქნება ცნობილი.

გადაცემის შეფასება

ამჟამად მაუწყებელს არ გააჩნია რაიმე გაწერილი პრინციპი, რის მიხედვითაც განისაზღვრება გადაცემის ეთერში გასვლის მიზანშეწონილობა, ამდენად:

I. გადაცემას არ აქვს სტანდარტი, რომელიც უნდა დაიცვას;
II. შემოქმედებით ჯგუფს არ აქვს მოტივაცია, გადაცემა გახადოს უკეთესი;
III. გადაცემის არსებობა რჩება მენეჯმენტის კეთილგანწყობის ამარა.

ასეთი მიდგომა ვერ ავითარებს შიდა კონკურენციას, ვერ ქმნის მაღალ სტანდარტს და არ არის ორიენტირებული განვითარებაზე.

გამოსავალი: **გადაცემის შესაფასებელი ობიექტური კრიტერიუმები**

მაუწყებელს უნდა გააჩნდეს ობიექტური წინასწარ განსაზღვრული გადაცემების შესაფასებელი კრიტერიუმები, რომელიც, თავის მხრივ, იქნება მრავალკომპონენტიანი. ეს კომპონენტებია:

- ყურებადობა,
- პრიორიტეტულობა,
- შინაარსი,
- ხარისხი,
- გაწეული ხარჯი
- გაშვების დრო
- და ა.შ.

დადგენილი კრიტერიუმების დაჯამებით მოხდება გადაცემის სარეიტინგო ქულის გამოანგარიშება. მაუწყებელმა, ასევე ,უნდა დაადგინოს სარეიტინგო ქულის ქვედა ზღვარი, რის საფუძველზეც დაიწყება მსჯელობა გადაცემის დახურვის თაობაზე. ასევე უნდა შემუშავდეს პრინციპი, რომლის მიხედვითაც წლიდან წლამდე გაიზრდება სარეიტინგო ქულის ქვედა ზღვარი.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მაუწყებელს დროთა განმავლობაში მისცემს შესაძლებლობას, დაიჭიროს მაღალი სტანდარტი.

მოცემული წესის დანერგვა გაზრდის შიდა კონკურენციას და შემოქმედებით ჯგუფებს ამყოფებს მუდმივ ტონუსში.

ვერ ახდენს საკითხების სიღრმისეულ წარმოჩენას:

2016-2018 წწ. მედიამონიტორინგის ანგარიშის მიხედვით „არხი მიუკერძოებელ მაუწყებლად ჩამოყალიბდა, თუმცა მოვლენების სიღრმისეული გაშუქება პრობლემად დარჩა“.

გამოსავალი: **პროდიუსინგის გაძლიერება**

საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა გამოირჩეოდეს საკითხის გაშუქების მაღალი სტანდარტით, ამისთვის მნიშვნელოვანია ახალი ამბების გუნდი გაძლიერდეს პროდიუსინგის ნაწილში, მაუწყებელმა უნდა მოახდინოს დამატებითი ადამიანური რესურსების მობილიზება, დარგობრივი მიმართულებებით.

ონლაინ პლატფორმა

მოთხოვნა ონლაინმედია საშუალებებზე მზარდი ტენდენციით ხასიათდება, სხვადასხვა სოციალური კვლევა ნათლად აჩვენებს, რომ მედიაბაზარზე მობილური ხელსაწყოები არანაკლები მნიშვნელობისაა, ვიდრე დიდი ეკრანები. ამდენად მაუწყებელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები აქვს გადასადგმელი აღნიშნული მიმართულების გასაძლიერებლად.

ამჟამად მაუწყებელს ონლაინსივრცეში გააჩნია სუსტი პოზიციები, ის წამოდგენილია მხოლოდ ვებ-გვერდით (ერთენოვანი) და ფეისბუქ გვერდით, ამ უკანასკნელზე

გამომწერების ზრდადი დინამიკა გვიჩვენებს, თუ რამდენად მაღალია ინტერესი ონლაინმედიის მიმართულებით.
მაუწყებელმა მეტი რესურსის მობილიზება უნდა მოახდინოს, ამ მიმართულებით და აითვისოს ყველა ონლაინპლატფორმა ეს იქნება YouTube channel, Whatsapp, Twitter თუ სხვა სოციალური ქსელი, ასევე უნდა შექმნას აპლიკაციები Play Marketისთვის და App Store-სთვის.
არსებული პრაქტიკით, მაუწყებელი ინტერნეტში ათავსებს სატელევიზიო პროდუქტებს, რაც გარკვეულ დისკომფორტს წარმოადგენს მომხმარებლისთვის. მაუწყებელმა ონლაინსივრცეში გამომწერებს უნდა მისცეს საშუალება, სიახლეები გამოიწერონ თემატურად. ონლაინმედიას სჭირდება ადაპტირებული კონტენტი, მნიშვნელოვანია, ამ კუთხით გაზიარებულ იქნას არსებული პრაქტიკა და ინოვაციური მიდგომები. მაგალითად, სიახლეებისთვის დამზადდეს მოკლე ვიდეობი, რომელიც წარმოაჩენს ახალი ამბის მთავარ აქცენტებს, დაინტერესების შემთხვევაში მომხმარებელი გადავა ლინკზე და ამბავს გაეცნობა სრულად. ასევე, მნიშვნელოვანია მოკლე თემატური ვიდეობის დამზადება იმ პარამეტრების გათვალისწინებით, რაც დადგენილია ონლაინმომხმარებლების კვლევის შედეგად (იგულისხმება ქრონომეტრაჟი, რეჟისორული დაგეგმარება, გრაფიკული გაფორმება და ა.შ.).
გარდა იმისა, რომ მაუწყებელმა ფეხი უნდა აუწყოს ტექნოლოგიურ სიახლეებს და მისი პოზიციონირება მედიაბაზარზე უნდა იყოს მყარი ყველა მიმართულებით, ასევე ციფრული მედია, ტრადიციული მედიისგან (ტელევიზია და რადიო) განსხვავებით, იძლევა მეტი ინტერაქციის შესაძლებლობას, ეს მაუწყებელს აძლევს საშუალებას,პროცესში დააკვირდეს მომხმარებლის ქცევას და განწყობებს.

რადიო

მაუწყებელში რადიოს მიმართულებას მეტი მხარდაჭერა ჭირდება, როგორც ადამიანური რესურსებით, ასევე ტექნიკური საშუალებებით, რადიო მიმართულების გასაძლიერებლად გასატარებელია გარკვეული ღონისძიებები:

- ✓ გაიზარდოს დაფარვის არეალი ქვეყნის მასშტაბით;
- ✓ მხარდაჭერილ იქნას რადიოს ვიზუალიზაციის პროცესი;
- ✓ სიგნალი გაშვებულ იქნას პოპულალურ ინტერნეტ პლათფორმებზე;
- ✓ რადიოს უნიკალური ფონდი და მიმდინარე შემეცნებითი გადაცემები განთავსდეს სთრიმზე.

რადიოს აქვს შესაძლებლობა შექმნას ე.წ. რადიო გაკვეთილები ბავშვებისთვის, ასევე მნიშვნელოვანია რადიომ შექმნას საბავშვო წიგნების აუდიო ვერსიები, რომელიც გააძლიერებს ონლაინ რადიოს და რომელიც შესაძლებელია განსაკუთრებული მნიშვნელობის აღმოჩნდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. გარდა აღნიშნულისა აუდი წიგნები მნიშვნელოვნად გაამდიდრებს რადიოში არსებულ უნიკალურ ფონდს.

შენობა

შენობა გახლავთ მაუწყებლის გადაუჭრელი გამოწვევა. არსებული შენობა ვერ აკმაყოფილებს ტელევიზიის მოთხოვნებს, ვერ უზრუნველყოფს ნორმალურ სამუშაო პირობებს (რაც აქვეითებს თანამშრომლების მოტივაციას), არ იძლევა საშუალებას, არსებობდეს თანამედროვე სტანდარტის სტუდიები, რაც ცუდად აისახება გადაცემების, როგორც ვიზუალურ, ასევე შონაარსობრივ ნაწილზე.

გამოსავალი:

მაუწყებელს საშუალება აქვს აღნიშნული საკითხი გამოიტანოს საზოგადოების სამსჯავროზე, ასევე მრჩეველთა საბჭოსთან შეთანხმებით (გნებავთ მრჩეველთა საბჭოს ზედამხედველობით) შესაძლებელია:

I. იჯარა;

II. შეფასდეს მაუწყებლის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების ღირებულება და ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან დაიწყოს მოლაპარაკებები მოცემული ქონების გაცვლის თაობაზე;

III. ან მაუწყებელმა ისარგებლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სესხის აღების უფლებით, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩატარდება პროექტის ფინანსური ანალიზი და განისაზღვრება სესხით გამოწვეული ტვირთი და მასთან დაკავშირებული გვერდითი ეფექტები.

პროგრამული პრიორიტეტები

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამართლებრივი სტატუსი ადგენს მოთხოვნებს, რომელიც არის აუცილებლად შესასრულებელი და ამავდროულად, ის განსაზღვრავს მაუწყებლის ხასიათს. ეს გულისხმობს უნიკალური პროდუქციის წარმოებას და დისტრიბუციას იმდენად, რამდენადაც ის თავისუფალი უნდა იყოს როგორც პოლიტიკური, ასევე კომერციული გავლენებისაგან. მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, მაუწყებელმა უნდა შექმნას მაღალპროფესიული, სიღრმისეული და ფართო კონტექსტში დანახული კონტენტი.

კანონმდებლობა, ასევე, ადგენს შინაარსობრივი ვალდებულებების ჩამონათვალს, რომელიც აუცილებელია შესასრულებლად (მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 16).

ბუნებრივია, საკანონმდებლო მოთხოვნები ზოგადი ხასიათისაა, ამდენად მრჩეველთა საბჭო საზოგადოებრივი აზრის და საჭიროებების კვლევის საფუძველზე, მენეჯმენტს შესასრულებლად უსახავს უფრო კონკრეტულ ამოცანებს. მენეჯმენტი, თავის მხრივ, ვალდებულია იხელმძღვანელოს მრჩეველთა საბჭოს მიერ შემუშავებული პროგრამული პრიორიტეტების დოკუმენტით, გაითვალისწინოს მასში დასმული აქცენტები, ზედმიწევნით და მაღალპროფესიონალურად შეასრულოს.

იმის გათვალისწინებით, რომ მაუწყებელი უზრუნველყოფილია საჯარო ფინანსებით, ის ანგარიშვალდებულია საზოგადოებასთან. მაუწყებელს მოეთხოვება მოვლენების,

სიღრმისეულად წარმოჩენა. მაუწყებელმა უნდა შექმნას ის პროდუქცია, რაც, უპირველესად, მომხმარებელს და მთლიანად საზოგადოებას ჭირდება და ვერ ღებულობს სხვა მედია საშუალებით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2018-2019 წლების პროგრამული პრიორიტეტების მნიშვნელოვანი აქცენტები

საბავშვო გადაცემა

ახალგაზრდა თაობის განათლებასა და ინფორმირებაში განსაკუთრებულია მედიის როლი. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ფართოდ გამოიყენება განათლებისთვის 1920 წლიდან (რადიო) და 1950-იანი წლებიდან (ტელევიზია). მედიის ურთიერთობა ბავშვებთან მოითხოვს მაღალ პროფესიონალიზმს და კვალიფიკაციას, ვინაიდან ეს გახლავთ ყველაზე მგრძნობიარე ასაკობრივი კატეგორია. მაუწყებელმა უნდა შექმნას ისეთი პროგრამა, რომელიც ახალგაზრდებისა და ბავშვების მაქსიმალურ ჩართვას მოახდენს და ორიენტირებული იქნება მათთან მაქსიმალურ ინტერაქციაზე. ასეთ შემთხვევაში მაუწყებელი შეძლებს მოირგოს მეგობრის, გიდის და მეცნიერის როლი მათთან ურთიერთობაში. საბავშვო აუდიტორიაზე გათვლილი ყველა პროგრამა უნდა იყოს საგანმანათლებლო, მაგრამ, ამავე დროს, გასართობი და ინფორმაციული ხასიათის. თუმცა, ყოველი მათგანი უნდა პასუხობდეს კონკრეტულ მიზანს და გათვლილი უნდა იყოს კონკრეტულ ასაკობრივ კატეგორიაზე.
მედიას აქვს საშუალება, ბავშვებს მისცეს არაფორმალური განათლების შესაძლებლობა, ასეთი პროგრამები შეიძლება შეიცავდეს დოკუმენტურ ფილმებს, შოუებს ქვიზებით, საგანმანათლებლო ანიმაციურ ფილმებს და ა.შ. საბავშვო გადაცემებში საუკეთესო გამოცდილება აქვს პროგრამებს, რომელიც აერთიანებს განათლებას და გართობას („edutainment").

თვითმმართველობა

ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი არის თვითმმართველობების გაძლიერება. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია, აქტიურად იყოს ჩართული საზოგადოებრივი მაუწყებელი და გამოიყენოს მის ხელთ არსებული რესურსი. დაუთმოს ეთერი მუნიციპალიტეტებში არსებულ პრობლემებს, მაყურებელს შესთავაზოს ღრმა და ფართო კონტექსტში დანახული ისეთი პრობლემების ანალიზი, როგორიცაა:

- მუნიციპალიტეტების ურბანულ განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ქალაქმშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ინფრასტრუქტურის გამართვასთან დაკავშირებული პრობლემები;
- თვითმმართველობის საგანმანათლებლო და სპორტულ პროგრამებთან დაკავშირებული პრობლემები;
- და ა.შ.

ამისთვის აუცილებელია მაუწყებელი მუდმივ რეჟიმში მეთვალყურეობდეს ადგილობრივი თვითთმმართველობების საქმიანობას. ამ მიმართულების გასაძლიერებლად კი დასამატებელია კორპუნქტები, მაგალითად, შუახევის მუნიციპალიტეტში.

მაუწყებელმა თვითმმართველობების გამოწვევებზე უნდა გამართოს ფართო დისკუსია, წარმოაჩინოს დარგების მიხედვით ექსპერტების მოსაზრებები, მოამზადოს სიუჟეტები საერთაშორისო წარმატებული გამოცდილებების შესახებ და გაუწიოს ორგანიზება თოქ-შოუებს მოცემული თემატიკის გათვალისწინებით.

ადამიანის უფლებები

საზოგადოებრივი მაუწყებლის ბადეში, მუდმივად უნდა მოხდეს იმ ტიპის გადაცემები, რომელიც ხელს შეუწყობს, საზოგადოების სამართლებრივი ცნოებიერების ამაღლებას. მნიშვნელოვანია, ეთერი დაეთმოს ყველა სახის უმცირესობებს, წარმოჩენილ იქნას მათ წინაშე არსებული გამოწვევები.

ადამიანის უფლებები არის ის მიმართულება, რომელზეც ყველაზე ხშირად უნდა საუბრობდეს მაუწყებელი, რეგიონის რესურსი როგორც ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის ასევე სამართლის სპეციალისტების იძლევა, ამის საუკეთესოდ წარმოჩენის საშუალებას, ეს გაზრდის ინტერესს მაუწყებლის მიმართ. ასეთი ხასიათის გადაცემები, არ უნდა იყოს მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის, მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა.

მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონი მუხლი: 16, პუნქტი: 1, ნ) ქვეპუნქტი

„უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომ – ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის, პოპულარიზაცია“.

მაუწყებელმა უნდა გააძლიეროს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის მნიშვნელობის წარმოჩენა, ამისთვის აუცილებელია განხილულ იქნეს:

- ✓ კავკასიის რეგიონის სირთულე და ძლიერი პარტნიორების საჭიროება;
- ✓ მათგან მომდინარე ეკონომიკური სარგებელი;
- ✓ მათი მხარდამჭერი პროგრამები და მიღებული გრანტები;
- ✓ სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობა;
- ✓ ევროპული ღირებულებები;
- ✓ წევრი სახელმწიფოების, წარმატებული ეკონომიკები;
- ✓ და ა.შ.

ეკონომიკური გადაცემა

ეკონომიკა გახლავთ ერთ-ერთი მიმართულება, სადაც საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან საკითხს. აღნიშნულმა გადაცემამ უნდა უზრუნველყოს როგორც მოქალაქეების, ასევე ბიზნეს სექტორის ინფორმირებულობა და ამით მათი კონკურენტუნარიანობის ზრდა. დარგის ექსპერტებმა უნდა მიაწოდონ მოსახლეობას ინფორმაცია ეკონომიკის ცალკეული სფეროების დინამიკის შესახებ, ინფორმაცია საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების და იმ სარგებლის შესახებ, რომელსაც ითვალისწინებს მოცემული ხელშეკრულებები.

გადაცემამ უნდა უზრუნველყოს:

- ✓ სავაჭრო სამრეწველო პალატების, საერთშორისო საფინანსო ინსტიტუტების და ბიზნეს გაერთიანებების საქმიანობის წარმოჩენა.
- ✓ წარმატებული სახელწიფოების საუკეთესო ეკონომიკური გამოცდილების პოპულარიზაცია.
- ✓ ეკონომიკური მოვლენების სრულფასოვანი ანალიზი და მცდარი პროგნოზების გაქარწყლება.
- ✓ იმ სფეროების წარმოჩენა, რომელშიც მოსალოდნელია მაღალი ეკონომიკური აქტივობა, შესაბამისად, მოხდეს საზოგადოების და ბიზნეს სექტორის მობილიზება გარკვეული მიმართულებებით.
- ✓ წარმოაჩინოს ნატოს და ევროკავშირის როლი ეროვნული ეკონომიკის გაძლიერებაში
- ✓ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ანალიზი.

ქვეყნის რთული გეოგრაფიული მდგომარეობის და ეკონომიკური მაჩვენებლების დაბალი ნიშნულის გათვალისწინებით, ეკონომიკურ აქტივობაზე და ინვესტიციების რაოდენობაზეა დამოკიდებული ჩვენი ეროვნული უსაფრთხოების საკითხი. ამდენად პრინციპულად მნიშვნელოვანია მაუწყებელმა დაიცვას ბიზნესი და ინვესტიციები მცდარი ეკონომიკურად გაუაზრებელი შეხედულებებისგან.

რეზიუმე

მაუწყებელში გასატარებელმა რეფორმება შედეგად უნდა მოიტანოს ინსტიტუციურად გამართული ორგანიზაცია, რომელსაც ექნება: თვირეგულირების ქმედითი წესი, სამართლიანი და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ორიენტირებული გარემო, გამჭვირვალე და ეფექტიანი საფინანსო სისტემა.

ხედვაში წარმოდგენილი ინიციატივების უმრავლესობა გულისხმობს მართვის სტილს, რომელშიც დელეგირებულია უფლებამოსილებები, უფრო მეტიც პროცესების დიდი ნაწილი ავტომატიზირებულია და ექვემდებარება არა მენეჯმენტს არამედ წინასწარ გაწერილ წესს.

ასეთ მიდგომას შუძლია შექმნას განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია, რომელიც წარმატებით გაუმკლავდება საზოგადოებრივი მაუწყებლის წინაშე მდგარ გამოწვევებს